ქ.თბილისის მერის მოვალეობის

შემსრულებელს ქ-ნ სევდია უგრეხელიძეს

ვ. ბაგრატიონის #5 1 ბლოკის მცხოვრებთა

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

ჩვენთვის შემთხვევით ცნობილი გახდა, რომ მე-2 ბლოკის მცხოვრებლებს განუზრახავთ პირველ სართულზე შესყიდული ფართობს მიუმატონ დამატებითი ფართი, რისთვისაც კედელი უნდა გამოინგრეს, გადმოიწიოს პატარა ეზოში და აშენდეს, რაც გულისხმობს გამწვანების მოსპობას ისედაც პატარა ეზოში. არავის უკითხავს 1-ბლოკის მობინადრეებისათვის, რა ზიანს მოგვაყენებს ეს ყველაფერი, როდესაც ცხვირწინ ამოგვიშენდება „აკლდამის'' კედელი. სამწუხაროდ 1 და 2-ბლოკის ერთი მხარეები ისედაც ისე ახლოსაა ერთმანეთთან აშენებული, რომ ჩვენ უნებლიედ ვხედავთ ერთმანეთის ცხოვრების ეპიზოდებს, ვხედავთ ერთმანეთის სამზარეულოებში რას ვსაქმიანობთ და ა.შ. ამას ყველაფერს დიდი ხანია შევეგუეთ , მაგრამ წინააღმდეგი ვართ დამატებითი მიშენების გაჩენით, მომელიც კიდევ უფრო მოაახლოებს 2-ბლოკის მოსაზღვრე კედლებს ჩვენთან, რაც კიდევ უფრო დაამძიმებს ჩვენს სიტუაციას. ეს უსამართლობაა. 1-ბლოკის მცხოვრებლები აღშფოთებულნი ვართ, რომ ჩვენს უკითხავად ვიღაცამ გადაწყვიტა პირადი ინტერესების გასაუმჯობესებლად ჩვენ გაგვიუარესოს ცხოვრების პირობები, 2 ბლოკის მობინადრეებს თანხმობაზე ხელი მოუწერიათ, მათ ეს ფაქტი პრობლემას არ უქმნის, რადგან ზოგიერთ მათგანს ხედი ეზოს მხარეს არ აქვთ ჩვენგან განსხვავებით.

ჩვენ ორ კორპუსს შორის მიწის ორი გოჯია, სადაც არის ლეღვის ხე და იყო დეკორატიული ბუჩქებიც, რომელიც მოჭრეს. ლეღვის ხის მოჭრა ვერ შეძლეს (ლეღვი 100 წელზე მეტ ხანს ცოცხლობს) , ვინაიდან ჩვენ შევეწინააღმდეგეთ 2 ბლოკის 2 სართულზე მცხოვრებმა კორპუსის თავმჯდომარემ ლ. ასხაბაძემ განაცხადა: ტოტები ჩემს აივანზე გადმოდის და მიშლისო, ამაზე იმიტომ ვამახვილებთ ყურადღებას, რომ ამოშენებული ფართის სახურავი გაგრძელება იქნება ასხაბაძის აივნისა, რაც კიდევ უფრო მოაახლოვებს ამ ნაგებობას ჩვენს სამზარეულოებთან. ეს აივანი იქნება მაღალი სართულებიდან გადმოყრილი

საყოფაცხოვრებო ნარჩენების ბუდე. ამ ფაქტს როგორ შეეგუება და რატომ აწერს ხელს ასხაბაძე მიშენების თანხმობას .(ეჭვს იწვევს).

თუ წითელ ხაზს მოიშველიებენ ამასაც არ ვეთანხმებით, ვინაიდან ასეთი სახის საკითხები უნდა გადაწყდეს ურთიერთშეთანხმებით, რაც არ ყოფილა და არ გათვალისწინებულა ის საკითხი, რომ ასეთი ქმედებით ისინი იჭრებიან ჩვენს პირად ცხოვრებაში და მეორეც, ისედაც გაუმწვანებელი ეზო გადაიქცევა ნაგებობების ლაბირინთად.

ჩვენ 1 ბლოკის და განსაკუთრებით ამ ასაშენებელი ფართის მოსაზღვრე ბინათმესაკუთრეები ვაცხადებთ პროტესტს მიშენებაზე და მოვითხოვთ:

1. გაუქმდეს მიშენების პროექტი.
2. პასუხი მოეთხოვოს მერიის იმ სამსახურს, ვინც ეს პროექტი შეადგინა და დაამტკიცა მოსაზღვრე კორპუსის მაცხოვრებლებთან შეთანხმების გარეშე.

აღნიშნულ განცხადებას თანხმობის ნიშნად ხელს ვაწერთ 1 ბლოკის მაცხოვრებლები:

